თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №55

28 დეკემბერი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავისა და სატელეფონო ხარჯების ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე

მუხლი 1.

განისაზღვროს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავისა და სატელეფონო ხარჯების ყოველთვიური ლიმიტები შემდეგი ოდენობით:

1. საწვავი:
   - თავმჯდომარე - 500 ლიტრი
   - მოადგილე - 300 ლიტრი
   - ფრაქციები - 100 ლიტრი თითოეულ ფრაქციაზე (ფრაქციათა რაოდენობის შესაბამისად).
   - კომისიები - 500 ლიტრი;

2. სატელეფონო ხარჯები:
   - თავმჯდომარე - 50 ლარი
   - მოადგილე - 40 ლარი
   - აპარატი - 130 ლარი
   - ფრაქციები - 50 ლარი თითოეულ ფრაქციას (ფრაქციათა რაოდენობის შესაბამისად), მათ შორის: ფრაქციის თავმჯდომარეს - 30 ლარი, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს - 20 ლარი;
   - კომისიები - 150 ლარი
   - დეპუტატები - 10 ლარი თითოეულ დეპუტატს.

მუხლი 2.

განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავისა და სატელეფონო ხარჯების ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის შესახებ" თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N106 განკარგულება.

მუხლი 3.

განკარგულება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

გოჩა თედორაძე
საკრებულოს თავმჯდომარე

TETRITSKARO MUNICIPALITY

Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2018.12.31 12:57:55 +04'00'